

ელექტრონული კომერციის განვითარება საქართველოში და მისი
შესაბამისობა ევროკავშირის დირექტივებთან

გვანცა მკერვალიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სანდრო დევიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა მკერვალიშვილი.

22.06.2018 წელი.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება ელექტრონული კომერციის განვითარებას, რომელიც აუცილებელი და მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელს მსოფლიოში. მოგეხსენებად სამყარო ვითარდება და მასთან ერთად ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაც, თავისთავად ეს განვითარება ხელს უწყობს საქმიანობის ისეთი სფეროების განვითარებას როგორცაა ეკონომიკა, შემოსავლები, ხალხის ცხოვრების დონის გაზრდა, რაც თავის მხრივ არამარტო მცირე მეწარმეებს და ფიზიკურ პირებზე ახდენს სასიკეთო გავლენას არამედ სახელმწიფოს ეკონომიკის ზრდაზეც.

მართალია საქართველოში გატარებული რეფორმები გარკვეულწილად დადებით შედეგს იწვევს ციფრული ბაზრის შექმნაში, თუმცა პრობლემად რჩება მომხმარებლის უფლებების დაცვა, შესაბამისად ნაშრომში განვიხილავთ თუ რა პრობლემებს აწყდება მომხმარებელი როდესაც იძენს ნივთს ელექტრონულად, ანახორციელებს ხელშეკრულების დადებასა და ხელმოწერეს ელექტრონული სახით, ხელშეკრულების გაგაზავნას ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ა.შ.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა მოიცავს როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზს ასევე განიხილავს ევროკავშირის დირექტივებსაც, რადგან უდაოა, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ჰარმონიზაციაში უნდა მოდიოდეს ევროკავშირის სტანდარტებთან.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს ის პრობლემები, რომელიც ეხება საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ცალკე რეგულირების აუცილებლობას, რათა მეტად განვითარდეს ელექტრონული კომერცია და ამან შეუწყოს ხელი გამართული სამართლებრივი სივრცის შექმნას.

ნაშრომის ბოლოს ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები თემაში განხილულ უმთავრეს საკითხებთან მიმართებით.

ნაშრომი შედგება ოთხი ძირითადი თავისაგან და მათში შემავალი ქვეთავებისგან.

I თავი ეთმობა ელექტრონული კომერციის ცნებისა და ელ-კომერციის მონაწილე სუბიექტების განხილვას, რათა შეგვექმნას ზოგადი წარმოდგენა თუ რას შეეხება ნაშრომი.

II თავი ეძღვნება ელექტრონული კომერციის განვითარების ისტორიებს, როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოში, განხილულია ახალი თანამედროვე ტენდენციები როგორცაა ელექტრონული დოკუმენტები და ელექტრონული ხელმოწერა.

III თავი ეთმობა ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივების განხილვას, განვიხილავთ პირველ რიგში მომხმარებლის უფლებების დაცვის მექანიზმებს. განვიხილავთ რამოდენიმე მნიშვნელოვან დირექტივებს, მასთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას და სხვა და სხვა ქვეყნების გამოცდილებებს და ისტორიებს.

IV თავი ეძღვნება ყველა იმ სირთულეების განხილვას რაც ჩვენ კანონმდებლობაში რომელიც ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას ელ-კომერციის განვითარებისთვის.

Abstract

This paper deals with the development of e-commerce, which is an essential and important event worldwide. The world is developing and the information technologies are developing with it; this development promotes the development of areas such as economics, income, and living standards, which in turn is beneficial not only to small entrepreneurs and individuals but also to the growth of the national economy.

Although the reforms in Georgia contribute to the creation of the digital market, but the problem remains in the field of the consumer's rights. In our paper, we will discuss what problems the consumers face when purchasing goods, concluding contracts and signing in electronic form, sending the contract by email, etc.

The research presented in the paper covers the analysis of applicable legislation in Georgia as well as the EU directives, as there is no doubt that our country's legislation should be harmonized with EU standards.

The aim of this paper is to identify on the basis of the legal analysis the problems related to the need for separate regulation of consumer rights in Georgia in order to develop e-commerce and thus to facilitate creation of the adequate legal framework.

The specific recommendations on the main issues discussed in the paper are provided in the conclusion.

The work consists of four main Sections and Subsections included in them.

Section I provides the concept of e-commerce and e-commerce players in order to create a general idea of the paper.

Section II is dedicated to the history of e-commerce development worldwide and in Georgia, new trends such as electronic documents and electronic signatures are discussed.

Section III provides for review of the directives adopted by the European Union; first of all we will consider the mechanisms for protection of consumer's rights. We will discuss several important directives, the related judicial practice and other countries' experiences and practices.

Section IV is dedicated to the problems in the Georgian legislation with regard to the protection of consumer's rights for the development of e-commerce